# მოაშორე ეს ტანჯვა, ადამიანთა მეუფეო! განკურნე, რადგან შენ ხარ ერთადერთი მკურნალი. არ არსებობს განკურნება შენს გარდა – განკურნე ისეთი განკურნებით, რომელიც არ დატოვებს არცერთ სენს

გადმოცემულია მორწმუნეების დედა აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «როცა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ავადმყოფთან მიდიოდა, მისთვის დუას აღავლენდა და ამბობდა: «მოაშორე ეს ტანჯვა, ადამიანთა მეუფეო! განკურნე, რადგან შენ ხარ ერთადერთი მკურნალი. არ არსებობს განკურნება შენს გარდა – განკურნე ისეთი განკურნებით, რომელიც არ დატოვებს არცერთ სენს».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა ავადმყოფს ესტუმრებოდა, მისთვის ვედრებას აღავლენდა და ამბობდა: (ო, ალლაჰო!)( მოაშორე) (დაამშვიდე ტანჯვა და დაავადების სიმძიმე) (ო, ადამიანთა მეუფეო, მათო შემოქმედო და გამზრდელო!) (განკურნე ეს ავადმყოფი!) (შენ ხარ ერთადერთი მკურნალი, უზენაესი და განკურნების წყარო!) (არ არსებობს ნამდვილი განკურნება, გარდა შენი განკურნებისა!), (განკურნება, რომელიც სრულყოფილია და არ ტოვებს არცერთ დაავადებას!)

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5542